სააქციო საზოგადოება ,,ენერგოკავშირი"

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის

ოქმი **N 1-022-10**

ქ. თბილისი 30.12.2022 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

კახა ბროკიშვილი, მერაბ სვანი, დავით არსენაშვილი, ვახტანგ ლომაია, თამაზ გოცირიძე.

არჩეულ იქნენ:

სხდომის თავმჯდომარედ: **კახა ბროკიშვილი**

სხდომის მდივნად: **მერაბ სვანი**

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შექმნა, წევრების დანიშვნა და აუდიტის კომიტეტის დებულების დამტკიცება.
2. კორპორაციული მდივნის დანიშვნა და კორპორაციული მდივნის დებულების დამტკიცება.
3. ეთიკის კოდექსის დამტკიცება.
4. რისკების მართვის ჩარჩოს დამტკიცება.

მოისმინეს:

სს ,,ენერგოკავშირი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კახა ბროკიშვილის ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 7 დეკემბრის ,,საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე" #172/04 ბრძანებიდან გამომდინარე, კანონთან შესაბამისობის მიზნით საჭიროა: სამთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შექმნა, წევრების განსაზრვრა და დებულების დამტკიცება; კორპორაციული მდივნის დანიშვნა და კორპორაციული მდივნის დებულების დამტკიცება; ეთიკის კოდექსის დამტკიცება და რისკების მართვის ჩარჩოს დამტკიცება. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე წევრებს გააცნო წარმოდგენილი დებულებები, ეთიკის კოდექსი და რისკების მართვის ჩარჩო.

აზრი გამოთქვეს:

მერაბ სვანმა, ვახტანგ ლომაიამ, დავით არსენაშვილმა და მხარი დაუჭირეს ს.ს. ,,ენერგოკავშირი"-სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წინადადებას. დასახელდა კანდიდატურები წარმოდგენილ პოზიციებზე.

დაადგინეს:

1. შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი. კომიტეტის წევრებად დაინიშნონ: მერაბ სვანი, დავით არსენაშვილი და თამაზ გოცირიძე, კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს მერაბ სვანი. დამტკიცდეს აუდიტის კომიტეტის დებულება წარმოდგენილი სახით.
2. კორპორაციულ მდივნად დაინიშნოს მარგარიტა კასრაძე. დამტკიცდეს კორპორაციული მდივნის დებულება წარმოდგენილი სახით.
3. დამტკიცდეს ეთიკის კოდექსი წარმოდგენილი სახით.
4. დამტკიცდეს რისკების მართვის ჩარჩო.

სხდომის თავმჯდომარე **/კახა ბროკიშვილი/**

სხდომის მდივანი **/მერაბ სვანი/**